მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „მირაბილიტი მაინინგის“ მირაბილიტის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

24 ნოემბერი, 2014 წ.

- **შპს „მირაბილიტი მაინინგის“ მიერ ჩატარებული გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა**

2014 წლის 12 მაისს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი შპს „მირაბილიტი მაინინგის“ მირაბილიტის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშის განხილვა ჩატარდა. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: „მირაბილიტი მაინინგის”, საკონსულტაციო კომპანია „გუკას“ და მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლები. ყურადსაღებია, რომ კომპანია „გუკას“ წარმომადგენლებმა შესაფერისად არ წარმოადგინეს არც დაგეგმილი პროექტი და არც ჩატარებული კვლევა/ანგარიში; მათი პრეზენტაცია სულ რამოდენიმე წინადადებით შემოიფარგლა. საჯარო განხილვის დასაწყისშივე, „გუკას“ წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა ითხოვა - თითქმის ერთი საათის განმავლობაში კომპანიის წარმომადგენლები არკვევდნენ, თუ რა იყო გზშ პროცედურა და როგორ უნდა წარმართულიყო საჯარო განხილვა. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელს, შესაძლებლობა, მოკლედ წარედგინა ორგანიზაციის შენიშვნები. შეიძლება ითქვას, შეხვედრა უკიდურესად არაკონსტრუქციულად წარიმართა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, 2014 წლის 12 მაისის შეხვედრის ოქმში, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ გზშ ანგარიშს აქვს თანდართული, აღნიშნულია, თითქოს შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ: *„შპს „მირაბილიტი მაინინგის“ რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მირაბილიტის გადასამუშავებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში <u>შეფასდეს დამაკმაყოფილებლად“.</u>* აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს. არასრულყოფილი და არაწორი ოქმით პროექტის განმახორციელებელი ცდილობს გადაწყვეტილების მიმღები პირების შეცდომაში შეყვანას. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი საჭიროებს შესაბამის რეაგირებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხრიდან.

- **გზშ ანგარიშის შინაარსი**

მწვანე ალტერნატივამ 2014 წლის 1 მაისს პროექტის განმახორციელებელს წარუდგინა შენიშვნები საჯარო განხილვისათვის წარმოდგენილ გზშ ანგარიშზე. ამ შენიშვნებიდან ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ გზშ ანგარიშში რამოდენიმე საკითხი გათვალისწინებულია თუმცა, გარკვეული შენიშვნები კვლავაც გაუთვალისწინებელია და ამდენად, აქტუალური. ქვემოთ წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „მირაბილიტი მაინინგის" მირაბილიტის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი გზშ ანგარიშის თაობაზე.

1. მე-6 თავში მოცემული ინფორმაცია არასრულყოფილია. არაერთი საკითხი მეტად ზედაპირულადაა განხილული და წარმოდგენილი.

მაგალითად, საწარმოს საქმიანობის შედეგად, ხმაურის შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ნათქვამია, რომ *„საჭიროების შემთხვევაში საწარმოო ტერიტორიასა და საცხოვრებელ სახლს შორის ხმაურჩამხშობი ბარიერების მოწყობა, მწვანე ნარგავების ან ხმაურსაიზოლაციო მასალისგან დამზადებული ეკრანის სახით (СНиП) II-12-77 ,,ხმაურისაგან დაცვა'' მიხედვით.".*

დოკუმენტში არ არის განხილული სხვადასხვა მეთოდის ეფექტურობა, მათ შორის, ხმაურის შემცირების სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით. აუცილებელია განხილულ იქნეს რამოდენიმე ტექნოლოგიური ალტერნატივა. ასევე, მნიშვნელოვანია, თითოეული ალტერნატივის შემთხვევაში, განხილულ იქნეს გარემოზე ესთეტიკური ზეგავლენის ხასიათი.

2. ანგარიშის მე-5 თავში მოცემულია საწარმოს განთავსების რაიონის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა. 5.1.4.5. ქვეთავში ნათქვამია, რომ *„ობიექტის განთავსების ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან სეისმურ ზონაში"*; თუმცა, შემდეგ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი, რა გავლენას ახდენს სეისმურობა საპროექტო გადაწყვეტაზე.

3. ემისიებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ვხვდებით ანგარიშის მე-6 თავში. აქ წარმოდგენილია გათვლები გასაფრქვევ ემისიებთან დაკავშირებით. ყველა შემთხვევაში, ანგარიშის ავტორი საუბრობს, რომ საწარმოს ემისიები არ გადააჭარბებს დასაშვებ ნორმებს, თუმცა, არსად განმარტავს, კონკრეტულად რა ტექნოლოგიების გამოყენება იგეგმება ემისიების შესამცირებლად. ეს გზშ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა განვიხილოთ.

დოკუმენტის 3.2.2.1.16. ქვეთავში ,,აირდამჭერი მოწყობილობის დახასიათება" ნათქვამია, რომ *,,კვამლის აირების აზოტის ჟანგეულებისაგან გაწმენდის მიზნით შერჩეული იქნა კვამლის აირების არაკატალიზური მეთოდით გაწმენდის მეთოდი – კერძოდ აზოტის ჟანგეულების აღდგენის მიზნით საქვაბის წვის კამერაში კარბამიდის ხსნარის და ორთქლის ნარევის შესხურება. მოცემული მეთოდი გამოიყენება რუსეთში და იაპონიაში, აგრეთვე სხვა ქვეყნებში. მოცემულ მეთოდს სხვა მეთოდებთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებენ იაპონელი მეცნიერები. მოწყობილობის სიიაფის და სქემის სიმარტივის გამო. კარბამიდი არატოქსიკურია, არაფეთქებადია, არ აქვს სუნი და არ იწვევს მოწყობილობის მნიშვნელოვან კოროზიას''.*

ანგარიშში არ არის დასაბუთებული, რატომ მიენიჭა უპირატესობა სწორედ ამ მეთოდს? რამდენად ეფექტურია ის, სხვა ტექნოლოგიებთან და მეთოდებთან შედარებით? სასურველია, განხილულ იქნეს ალტერნატივებიც; რა უპირატესობა ან ნაკლი აქვს თითოეულ მათგანს და ამის შემდეგ დადგინდეს, თუ რომელი მეთოდის, თუ ტექნოლოგიის გამოყენება იქნება უფრო ეფექტური და საიმედო, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.

4. არ არის სრულყოფილად შესწავლილი, რა უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება იქონიოს პროექტის განხორციელებამ საწარმოდან უშუალო სიახლოვეს დასახლებულ მოსახლეობაზე. ზემოქმედებებს შორის, ძირითადად, შეფასებულია საწარმოში დასაქმებულ პირებზე ზემოქმედება. შესაბამისად, არ არის დადგენილი შესაფერისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები.

5. ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხი, სულ ორი წინადადებითაა წარმოდგენილი. *„წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიხედვით შპს „მირაბილიტი მაინინგი"-ს მირაბილიტის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობასა და ოპერირებასთან დაკავშირებული გარემოზე მაღალი ან საშუალო დონის ნარჩენი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად დაბალი დონის ნარჩენი ზემოქმედება არ ექვემდებარება განხილვას."* აღნიშნული სათანადო მონაცემებით არ არის გამყარებული.

6. ტექნოლოგიური ალტერნატივების ნაცვლად მხოლოდ და მხოლოდ განხილულია (და ისიც ზედაპირულად) მირაბილიტის გადამუშავების ორი მეთოდი. არ არის ნათლად წარმოდგენილი, თუ რომელი ტექნოლოგიური ალტერნატივების განხილვა მოხდა შერჩევის ეტაპზე და რატომ მიენიჭა უპირატესობა საბოლოო ვარიანტს. შესაბამისად, არ არის მოცემული მათი საპასპორტო მონაცემებიც.

7. რაც შეეხება, სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს საწყის მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას, აღნიშნულ თემას ეთმობა მე-9 თავი და ის ზოგადაღწერილობითია. ის გაჯერებულია მეტად ზედაპირული წინადადებებით და არ მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს. მაგალითად, ნათქვამია, რომ *„საპროექტო საწარმოს ან მისი ცალკეული უბნის გაუქმების შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური პროექტის დამუშავება...".* არ არის გაწერილი, რა ღონისძიებებს გაატარებს ამ შემთხვევაში კომპანია გარემოს საწყის მდგომარეობამდე აღსადგენად.

8. ანგარიშის მე-11 თავი - „საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა" - ზოგადაღწერილობითია. არ არის ნათელი, გასწია, თუ არა ინვესტორმა ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის. დოკუმენტში უბრალოდ აღნიშნულია, რომ *„საქმიანობის განმხორციელებელი ვალდებულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის პაკეტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენამდე, უზრუნველყოს საჯარო განხილვის ჩატარება"* და რომ ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში.

9. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხი ასევე არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. გზშ ანგარიშში არ არის განხილული, სახიფათო თუ სხვა სახის ნარჩენების საბოლოოდ განთავსების ადგილმდებარეობები. მითითებულია, რომ მათი განთავსება მოხდება სათანადო კონტრაქტორთან მოლაპარაკების საშუალებით, თუმცა სად და როგორ, ასევე უცნობია.

10. დარღვეულია, საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" მე-7 მუხლის, პირველი და მესამე პუნქტები, რომლის მიხედვითაც: *„საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, <u>რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს."</u>* - პროექტის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილ ოქმში ზედაპირულად, რამოდენიმე წინადადებითაა წარმოდგენილი საჯარო განხილვისას გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია.

ასევე, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: *„საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების*

გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და მათი ავტორისთვის (ავტორებისთვის) გაგზავნა. ეს წერილობითი დასაბუთება (შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) საქმიანობის განმახორციელებელმა, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გზშ-ის ანგარიშთან ერთად, უნდა წარადგინოს ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში". აღნიშნული მოთხოვნა ასევე არ შესრულებულა - საქმიანობის განმახორციელებელს არ წარმოუდგენია წერილობითი დასაბუთება მწვანე ალტერნატივას შენიშვნების გათვალისწინება/გაუთვალისწინებლობის შესახებ; შესაბამისად, ის არ ერთვის გზშ ანგარიშსაც.

გარდა ზემოთქმულისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დაგეგმილი საქმიანობის/პროექტის შემთხვევაში, ისევე როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ამ დრომდე ნებადართული ყველა სხვა პროექტის შემთხვევაში, ცხადია, რომ კანონმდებლობით საზოგადოების, განსაკუთრებით, დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების/თემების ინფორმირებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები არაეფექტურია. ამასთან, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებები არ უზრუნველყოფს საქართველოს მიერ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებას.